საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუდაუთის უღელტეხილი

გუდაუთის უღელტეხილი, უღელტეხილი ბზიფის ქედზე, მდინარეების მწარის (ააფსთის მარცხ. შენაკადი) და რეშევიეს (ბზიფის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე ზ. დ. 1565 მ.

მიდამოები შემოსილია წიფლნარით და წიფლნარ-მუქწიწვოვნებით. ააფსთის აუზს (შავიზღვისპირეთი) საცალფეხო ბილიკით აკავშირებს ბზიფის ხეობასთან (სოფლები: რეშევიე, სერებრიანოე – ყოფ. ვერცხლოვანი).

დ. უკლება